0329 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია JOURNALISM AND INFORMATION

ინფორმაციული სუგესტია, როგორც საინფორმაციო ომის მთავარი მდგენელი

გიგლა გობეჩია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
E-mail: gigla_gigla@mail.ru
მაია თუნგია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
E-mail: maia.tungia@mail.ru

რეფერატი

ციფრულ ერაში საინფორმაციო ომი გავლენის მოპოვების მთავარ ინსტრუმენტად იქცა. მისი მძიმე შედეგი სამიზნე ობიექტისთვის მით უფრო დამანგრეველია, რაც უფრო მეტია სუგესტიის მდგენელი. ეს თანაბრად ვრცელდება როგორც სახელმწიფოებზე, ისე ცალკე აღებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ერთმანეთთან საინფორმაციო ომში არიან ჩართულები. სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება სწორედ საინფორმაციო ომის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაზე გადის. სწორი სტრატეგიით შერჩეული და შემდგომში ასეთივე ტაქტიკით წარმართული თუნდაც შორეულ წარსულში დაწყებული საინფორმაციო ომი საბოლოო ჯამში დასახულ მიზანს მაინც აღწევს სწორედ სუგესტიური მომენტის დიდი დოზის გამო.

წინამდებარე ნაშრომი ერთგვარად პირველი მცდელობაა საინფორმაციო ომის განსხვავებული რაკურსით წარმოდგენისა და გააზრებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო ომი, ინფორმაციული სუგესტია, მანიპულაცია, ნლპ, 25-ე კადრი.

თანამედროვე ადამიანი თავისი ბიოლოგიური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ფაქტობრივად არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ იმ რაკურსით, რომ ძალიან დაუცველი გახდა ინფორმაციული ზემოქმედების კუთხით. ის არნახული ინფორმაციული წნეხის ქვეშ მოექცა.

ინფორმაციული ზემოქმედების სასტიკ შედეგებზე ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე-მესამე ასწლეულის ცნობილი ბერძენი სოფისტი და ორატორი გორგია ლეონტინელი (485-375 წ.წ.) წერდა: ,,ხალხის დარწმუნების ხელოვნება ბევრად აღემატება ყველა სხვა ხელოვნებას, რადგან ის საშუალებას გაძლევთ, გახადოთ ყველა თქვენი მონა საკუთარი ნებით და არა იძულებით.“ ცხადია, მაშინ ინფორმაციის ნაკადი უწვრილესი არხებით მიეწოდებოდა საზოგადოებას. დღეს რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. ვითარებას ართულებს გაუფილტრავი ინფორმაციის ძალიან დიდი მასივი. მით უფრო ისეთის, რომლითაც ხდება მის ცნობიერზე და არცთუ იშვიათად ქვეცნობიერზე ზემოქმედება მისი ნების საწინააღმდეგოდ.

საამისოდ არაერთი მეთოდი და ტექნოლოგიაა ცნობილი. ესენია: 25-ე კადრი, ნლპ და ფსიქოტრონული ტექნოლოგიები. თბილისში 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციის მონაწილეები პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმმა სწორედ ფსიქოტრონული იარაღის გამოყენებით დაშალეს, ცხადია, ძალისმიერი მეთოდების დამატებით.

საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ოპოზიციონერთა მიტინგი ამერიკული აკუსტიკური გენერატორის გამოყენებით დაშალა. ეს გენერატორი ადამიანებში პანიკასა და ფსიქიკურ აშლილობას იწვევს. გენერატორები დაყენებული იყო პოლიციის ჯიპებზე და იყო ექვსკუთხა ფარი მოძრავ სადგამზე. გენერატორები საშინლად მკვეთრ ხმას გამოსცემდა. ეს ხმები მიმართული იყო დემონსტრანტებისკენ, რომლებიც თავს გაქცევით შველოდნენ. როგორც გაზეთი ,,მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერდა, აქციის ბევრი მონაწილე საავადმყოფოში მოხვდა, მთელი სამი დღის განმავლობაში ადამიანები სამედიცინო დაწესებულებებს

მიმართავდნენ. მათ პრეტენზია ჰქონდათ ფსიქიკური მდგომარეობის მკვეთრი მოშლის გამო. პაციენტები ჩიოდნენ აგორაფობიის შეტევებზე, ღია სივრცის შიშსაც განიცდიდნენ. ეშინოდათ სახლიდან გამოსვლის, მაღაზიაში შესვლის, მეტროში ჩასვლის, კაფეში წასვლის, ან უბრალოდ ქუჩაში სიარულის… გრძნობდნენ პირის სიმშრალეს, მეხსიერების ხანმოკლე ჩავარდნებს [1]. მეტი დამაჯერებლობისთვის დავძენ, რომ ეს შეგრძნებები პუბლიკაციის ერთ ავტორს, როგორც აქციის მონაწილეს, პირადად აქვს გამოცდილი.

ზოგადად, საინფორმაციო ომისას ფარული საფრთხეების შექმნა და განხორციელება მეტად პრიორიტეტული ხდება. ამგვარ შემთხვევაში ადამიანთა დიდ მასაზე ინფორმაციული დარტყმის ძალა და მასშტაბი გაცილებით იოლია და თანაც შეუმჩნეველი. თავის დროზე ყოველივე ეს საბჭოთა ხალხმა საკუთარ ტყავზე იწვნია. ვეებერთელა სახელმწიფო სრულად ჩამოიშალა, ხოლო სოციალისტური ფორმაცია საერთოდ გაქრა. ცნობილი მკვლევარის სერგეი კარა-მურზას თქმით, ,,საბჭოთა ადამიანების ცნობიერებაზე მანიპულაცია მსოფლიოს ისტორიაში უანალოგო სპეციალური პროგრამის მეშვეობით განხორციელდა [2]. მიღწეული მიზნის შემდეგ გლობალური საინფორმაციო ომის ინიციატორები ზემოქმედების სხვა ტაქტიკაზე გადავიდნენ. გაჩნდა ახალი ლოკალური ზემოქმედების ობიექტები. დაიხვეწა ტექნოლოგიები.

თანამედროვე ელექტრონულ მედიაში ინტენსიურად ვრცელდება სუბლიმინარული, ანუ დაშიფრული საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ასევე საკმაოდ წარმატებით გამოიყენება ადამიანთა დიდ ჯგუფებზე მასობრივი ზემოქმედებისთვის.

ინფორმაციული სუგესტია ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის საინფორმაციო ომებში და მორალური ტერორის ორგანიზებაში. განვმარტოთ, რა არის სუგესტია?

სიტყვის ეტიმოლოგია ლათინურია და ნიშნავს შთაგონებას, რის შედეგადაც ადამიანის ფსიქიკაში გარკვეული სახის ცვლილებები შეინიშნება. მისი პირველმკვლევარად ფრანგი ანტონ მესნერი ითვლება. მისი მეთოდები მაგნეტიზმის სფეროს განეკუთვნებოდა. 1774 წელს მესნერი საფრანგეთის აკადემიამ შარლატანად გამოაცხადა და მისი ცალკეული შედეგები ადამიანთა განკურნებისა პაციენტთა წარმოსახვის შედეგად ჩაითვალა. მიუხედავად ასეთი მძიმე განაჩენისა, მესნერს მიმდევრები გამოუჩნდნენ. მათ გააგრძელეს კვლევა და სულ სხვა რამ აღმოაჩინეს. კერძოდ, სომნამბულური მდგომარეობა მესმერული ტრანსის ერთ-ერთი სტადია იყო. ხოლო ტრანსის გამომწვევი არა მხოლოდ მესმერის ჯოხი ან სხვა საგანი იყო, არამედ სიტყვა, შთაგონება, რომელიც სულ სხვა ეფექტს იწვევდა ადამიანებში. ასე გაჩნდა ტერმინი სუგესტია. ტერმინი სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ფრანგმა ექიმმა ამბროს ავგუსტუს ლებომ 1866 წელს გამოიყენა. მან ეს მეთოდი ფსიქოთერაპიას მიაკუთვნა და ჰიპნოზთან ერთად იყენებდა. დღეს კი უმაგისოდაც მიიღწევა სასურველი ეფექტი. სუგესტიის მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა დარგში - პოლიტიკა, ბიზნესი, მედია, მედიცინა, რეკლამა, სწავლება და სხვა.

იქმნება პარადოქსული სიტუაცია. ერთის მხრივ, 25-ე კადრის ზემოქმედებას უარყოფენ და აბსურდად მიიჩნევენ, მეორეს მხრივ კი საკანონმდენლო ბერკეტებით ებრძვიან. ასე მაგალითად, რუსეთში კანონით ,,რეკლამის შესახებ“ აკრძალულია 25-ე კადრის გამოყენება, მსგავსი ვითარებაა უკრაინაში, სადაც კანონით – ,,ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის შესახებ“ აკრძალულია ფარული ზემოქმედების მქონე აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გაშვება [3].

ზოგადად 25-ე კადრის ისტორია სათავეს 1957 წლიდან იღებს, როცა ამერიკელმა მკვლევარმა ჯეიმს ვაიკერმა (James M. Vicary) ნიუ-იორკის კინოთეატრში 50-მდე რეპორტიორი მიიწვია მოკლემეტრაჟიანი ფილმის სანახავად და განუცხადა, რომ ფილმში ჩართული ჰქონდა ისეთი კადრები, რომელთაც ფარული ზემოქმედების მოხდენა შეეძლოთ მაყურებელთა ფსიქიკაზე. გარდა ამისა, მან სტუმრებს საგანგებოდ მომზადებული პრესრელიზიც დაახვედრა, სადაც მითითებული იყო, რომ მთლიანობაში მის ექსპერიმენტს 45700-მდე მაყურებელი დაესწრო. მისი მტკიცებით, ფილმში ჩამონტაჟებული ფარული კადრები შეიცავდა ორ

პირდაპირ მოწოდებას. პირველი – დალიეთ კოკა-კოლა და მეორე – გშია? მიირთვი პოპკორნი! ვაიკერის მტკიცებით, საექსპერიმენტო დროში კოკა-კოლას მოხმარება 18.1%-ით გაიზარდა, ხოლო პოპკორნისა – 57.5%-ით.

ფილმის ჩვენების შემდეგ მან თავი აარიდა გარკვეულ შეკითხვებს საპატენტო საიდუმლოს არ გათქმის მიზეზით. სიახლით ამერიკის პრესა დაინტერესდა, მაგრამ ვაიკერი მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის გაცემით იფარგლებოდა. 1958 წლის იანვარში საქმეში ჩაერთო ამერიკის კომუნიკაციის ფედერალური კომისია, ცალკეული კონგრესმენები, ფედერალური სამსახურების წარმომადგენლები და მედია. ოფიციალურად ექსპერიმენტი ჩავარდა, მომხმარებელთა ქვეცნობიერზე ფარული, ანუ სუბლიმინარული რეკლამის ზემოქმედება არ დადასტურდა. 1958 წლის ივნისში ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ (American Psychological Association) ჯეიმს ვაიკერის ყველა ფსევდო სამეცნიერო კვლევა ბათილად ჩათვალა. მეტიც, ფსიქოლოგ ალექსანდრ რეპევის თქმით, ვაიკერმა 22.5 მილიონი დოლარი მოხიკა და გაუჩინარდა, თუმცა ექსპერიმენტში ჩართულმა და სპონსორმა კომპანიებმა რატომღაც პირში წყალი ჩაიგუბეს და ,,მიტაცებული“ თანხა თაღლით მკვლევარს შეარჩინეს [4].

ამგვარი ნეგატიური მასალები სხვადასხვა დროს მსოფლიოს მედიაში სისტემატურად იბეჭდებოდა ხოლმე. თუმცა ამას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია. საქმე ის არის, რომ 1961 წელს ამერიკის სპეცსამსახურები ჩაერივნენ საქმეში და მეთოდიკა სპეცდაკვირვებისა და სპეცშესწავლის რანგში აიყვანეს. ხოლო 1962 წელს ჯეიმს ვაიკერიმ ,,აღიარა“ თუ აღიარებინეს, რომ ექსპერიმენტს თავი სათანადოდ ვერ გაართვა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად დასცინოდნენ 25-ე კადრის პრინციპს და მას არც აღიარებდნენ, ამერიკაში ტელე-რადიო მაუწყებელთა ეროვნულმა ასოციაციამ (The National Association of Broadcasters) მაინც აკრძალა ტელევიზიებში სუბლიმინაციური ხასიათის სარეკლამო მასალების გამოყენება. დამრღვევებს ლიცენზიის გაუქმება ემუქრებოდათ.

პრობლემა ერთი შეხედვით თითქოს მოგვარდა, მაგრამ 21-ე საუკუნის დასაწყისში ეს საკითხი ისევ წამოტივტივდა და ევროკავშირის ყველა ქვეყანაში გამკაცრდა საკანონმდებლო ნორმატივები სუბლიმინაციური სარეკლამო კონტენტის გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ევროპის ყველა სახელმწიფოში, მათ შორის ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში კანონით აიკრძალა ადამიანის ქვეცნობიერზე სუბლიმინაციური, ანუ ფარული ზემოქმედების მქონე ინფორმაციული მასალების მიწოდება. ასეა საქართველოშიც. საქართველოს ორგანული კანონიც კრძალავს ამგვარი კონტენტის გავრცელებას. თუმცა კანონში მკაცრად არ არის გაწერილი, წინააღმდეგ შემთვევაში რითი ისჯება კანონდამრღვევი.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად ისმება კითხვა: თუ არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია 25-ე კადრს, მაშინ რატომ იკრძალება? ამის პასუხად შეიძლება ერთი ანალოგის მოშველიება ისტორიული ანალებიდან: 1940-იანი წლების მიწურულს, როცა მთელ მსოფლიოს მოედო სენსაციური ინფორმაცია ამერიკელი მფრინავის კენეტ არნოლდის უცხო ცივილიზაციათა საფრენ ხომალდებთან შეხვედრის შესახებ, საბჭოთა პრესამ ეს ფაქტი სასაცილოდ აიგდო. საბჭოთა კავშირის წამყვან გაზეთებში - ,,პრავდასა“ და ,,იზვესტიაში“ იბეჭდებოდა მხოლოდ კარიკატურული და ცინიკური მასალები. თუმცა საბჭოთა ქვეყნის მეთაურის იოსებ სტალინის ბრძანებით, შეიქმნა წამყვან მეცნიერთა სპეციალური ჯგუფი აკადემიკოსების კელდიშის, კურჩატოვისა და თოფჩიევის, აგრეთვე, სსრკ-ს გენელარური ავიაკონსტრუქტორის სერგეი კოროლიოვის ჩართულობით და მასშტაბურად შეისწავლეს საკითხი. სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა სპეცლაბორატორია, რომელმაც იმთავითვე დაიწყო დედამიწის გარე ცივილიზაციათა პრობლემების დაკვირვება და შესწავლა. 2022 წლის 18 ივლისს ამერიკის უმაღლესი ხელმძღვანელობა იძულებული გახდა კონგრესის დონეზე განეხილათ და ეღიარებინათ, რომ პრობლემა რეალურია და ის სათანადო ყურადღებას საჭიროებდა და არა დაცინვას. არადა ამ ორ ფაქტს შორის მთელი რვა ათეული წელია

მოქცეული. რა გამოდის? ფაქტობრივად მთელი სამი თაობა შეგნებულად გაწირეს ინფორმაციული ვაკუუმისთვის.

ეს ვრცელი პასაჟი იმიტომაც მოვიშველიე, რომ ადამიანთა გონებაზე, მათ ცნობიერსა და ქვეცნობიერზე სერიოზული გავლენის მქონე ტექნოლოგიები და მეთოდები უმალვე ხდება სპეცსამსახურების დაკვირვებისა და ინტენსიური ყურადღების საგანი. ამიტომ ამგვარი მეთოდებისადმი ყურადღების მიჩუმათება სწორედ მათ ინტერესებშია.

სუბლიმინალური ტექნოლოგიების გამოყენების არეალის მიმართ ინტერესი ისევ გაჩნდა, ამჯერად სამხედრო კუთხით. გაირკვა, რომ ქვეცნობიერზე მსგავსი კადრების განმეორებით ჩვენების შემთხვევაში ეფექტი იზრდებოდა [5].

მსგავსმა ექსპერიმენტებმა მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება შოკში ჩააგდო. როგორც ცნობილი რუსი მკვლევარი ალექსანდრ სოროჩენკო წერს, ამჟამად მარტო ამერიკაში 140-მდე ნეირო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და ინსტიტუტი მუშაობს ამ პრობლემაზე. ფაქტობრივად მიმდინარეობს მსოფლიოს გლობალური ფსიქოტერორიზაცია. ბოლო 40-50 წლის მანძილზე ამ პრობლემის კვლევაში ყველაზე მეტად ამერიკისა და რუსეთის სამეცნიერო და სამხედრო წრეებია ჩართული. მათ შორის ყველაზე მძლავრად ითვლება რუსულ-ამერიკული კომპანია ,,PSYCOR“-ი, რომელსაც სათავეში პროფესორი იგორ სმირნოვი უდგას. ინტერნეტის ეპოქაში უკვე შეიცვალა მიდგომა და ადრინდელივით 25-ე კადრის მექანიკური ჩასმა სულაც არაა საჭირო. ეს მარტივი ტექნოლოგია შეიცვალა საკმაოდ რთული მათემატიკური ალგორითმებით და ფსიქოსემანტიკის მეთოდებით [6].

პროფესორმა იგორ სმირნოვმა შექმნა ფსიქოკორექციისა და ფსიქოზომბირების სპეციალური მეთოდიკა, მაგრამ 2004 წლიდან მეთოდის განვითარება შეწყდა პროფესორის ნაადრევი გარდაცვალების გამო 53 წლის ასაკში.

პროფესორ სმირნოვის გუნდი არა მხოლოდ ნეგატიური ფსიქოკორექციულ მეთოდებს იკვლევდა, არამედ პოზიტიური ზეგავლენის მქონე სარელექსაციო აუდიოკასეტებს და დისკებსაც უშვებდა.

როგორც მკვლევარი ალექსანდრ სოროჩენკო წერს, ზუსტად არავინ იცის, რა და როგორ მზადდებოდა სმირნოვის ლაბორატორიაში. ვარაუდობენ, რომ იქ მზადდებოდა გლობალური ფსიქო-ეკოლოგიური პროექტი, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა სოციალური დაძაბულობის მოხსნას, ისეთ სოციალურ პრობლემებთან, როგორიცაა ნარკომანია და თამბაქოს მოწევა.

პროფესორმა სმირნოვმა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში შექმნა ფსიქოტექნოლოგიების კომპანია (Psychotechnologies Corp), რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც თავადვე გახდა. ტექნოლოგიის საიდუმლოც მანვე იცოდა. შესაბამისად მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მიმართულება არ განვითარებულა. თუმცა, როგორც მკვლევარი ალექსანდრ სოროჩენკო წერს, 2000-იან წლებში სუბსენსორული და სუბლიმინაციური მიმართულებით კვლევები გაგრძელდა რუსეთის ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში პროფესორ სერგეი ესინის ხელმძღვანელობით. მათ შეიმუშავეს ახალი მეთოდიკა სახელწოდებით – ,,არავერბალური დაკითხვისა და ქვეცნობიერის კორექციის მეთოდი [7]. სოროჩენკოს თქმით, ეს მეთოდიც 25-ე კადრის პრინციპზეა აგებული. მალე ამ ორგანიზაციას მიბაძა რუსეთის მედიკო-ბიოლოგიური და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტიტუტმა პროფესორ ალექსანდრ კუჩინოვის ხელმძღვანელობით. კუჩინოვი ითვლება სმირნოვის შეგირდად და სულიერ თანამებრძოლად. ასე რომ, მუშაობა ამ მიმართულებით არ შეწყვეტილა, პირიქით, სრულიად ახალ ფაზაში გადავიდა. ესტაფეტა ხელში აიღეს სხვა მკვლევარებმა. მაგალითად, პეტერბურგელმა პროფესორებმა ვიაჩესლავ დიუკმა, მიხეილ კრავჩიკმა და იური სენკევიჩმა. მათი თქმით, ,,დასაბუთებულია, რომ სხვადასხვა ინდიკატორებს შორის სისტემური კავშირის გამოყენება დროისა და სიხშირის სფეროებში შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს

სუბლიმინალური ვიზუალური ზემოქმედების ეფექტების იდენტიფიცირების წესების სიზუსტე და სანდოობა“ [8].

ზემოქმედების ეფექტი განსაკუთრებით იზრდება ინფორმაციის სისტემატური მიწოდების მეთოდის გამოყენებისას. ამგვარ მიდგომას შეუძლია ხალხიც და ქვეყანაც ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რომ არა მარტო პოლიტიკურად არამედ ფსიქოლოგიურადაც გაუქრეს დამოუკიდებლად არსებობის სურვილიც და უნარიც. ხალხის, საზოგადოების კოლექტიური ფსიქიკის განადგურება, როგორც პროფესორი ალექსანდრ ზინოვიევი წერს, იწყება იმით, რომ ირღვევა მისი მთლიანობა, ირღვევა მისი ნაწილების კოორდინაცია, შემოდის ახალი სიმბოლოები, რომლებიც სრულიად შეუთავსებელია ძველთან.

ფარული ინფორმაციის სისტემატური მიწოდების მეთოდი უპირველესად მედიის ჩართულობით ხორციელდება. სწორედ მედია განაპირობებს ადამიანებში იმ თვისებების თანმიმდევრულ წაშლა-განადგურებას როგორებიცაა – წესიერება, პატრიოტიზმი, ისტორიის პატივისცემა, უფროსი თაობის დაფასება, მშობლების, ოჯახის სიყვარული, ეროვნული ტრადიციების ერთგულება, შრომის დაფასება და სხვა. სამაგიეროდ ხდება კულტივირება ისეთი ფსევდოფასეულობებისა, როგორებიცაა – ძალადობა, უზნეობა, აგრესია, სექსუალური გარყვნილება, უტიფრობა, ამორალობა, თაღლითებისა და მონური ფსიქიკის ადამიანთა აღზევება და სხვა. ყველაფერი ეს სიმახინჯე მედიით ფოკუსირდება როგორც წარმატება და მისაბაძი საქციელი, რის გამოც იჩაგრება წესიერი, ბეჯითი და ოჯახებში ტრადიციულ პრინციპებზე გაზრდილი ახალგაზრდა თაობა.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს მეთოდი ჯერ კიდევ 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იქნა შემუშავებული და ის ალენ დალესის დოქტრინის სახელით არის ცნობილი. მართალია, ლიბერალური ძალები დღემდე არ აღიარებენ დალესის დოქტრინის რეალობას, მაგრამ სამყაროს განვითარების ვექტორი ფაქტობრივად სწორედ აქეთაა მიმართული. ესაა დღევანდელი რეალობა, რომელიც საყოველთაოდ და ღიად თამაშდება გლობალური აუდიტორიის თვალწინ.

ცნობილია, რომ ალენ დალესი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მესამე დირექტორი იყო. იგი გამოირჩეოდა მკვეთრი ანტიკომუნისტური მსოფლმხედველობით და სულაც არ არის გამორიცხული თავად მას ან მისი ხელშეწყობით ჯერ შექმნილიყო ეს დოქტრინა და ის მერე საკმაოდ მოხერხებულად შეენიღბათ, როგორც ეს 25-ე კადრის პრინციპთან დაკავშირებით გაკეთდა. მეორეც, არსებობს საგანგებო პროგრამა, რომელიც სწორედ 1945-50 წლებში შეიქმნა ამერიკაში თითქმის იდენტური აქცენტებით. ამერიკის თავდაცვის პირველი მინისტრის, პენტაგონის ერთ-ერთი დამაარსებლის ჯეიმს ფორესტოლის (1947-1949 წ.წ.) უშუალო მოთხოვნით 1948 წელს შექმნილი ეს დოკუმენტი ფართო აუდიტორიისთვის უცნობია, სამაგიეროდ ძალიან ცნობილია თავად ფორესტოლის ბედი. მან 1949 წლის 22 მაისს თავი მოიკლა [9]. ის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მე-16 სართულიდან გადმოხტა ძახილით – ,,რუსები მომდევენ!“ მისი სიკვდილის შემდეგ დასავლეთის სამყაროში გაჩნდა ტერმინი – ,,ფორესტოლის სინდრომი“ [10].

ფორესტოლის მოხსენებაში ხაზგასმული იყო ის მიდგომები, თუ რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ ამერიკელებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მოხსენებაში დეტალურად იყო გაწერილი სამოქმედო გეგმა – იდეოლოგიური დივერსიების მოწყობა, მათ სამიზნე ქვეყანაში ლოიალური ხელისუფლების სათავეში დასმა, ეკონომიკური პარტახის გამოწვევა და სხვ.

როგორც ითქვა, ფორესტოლის მოხსენებაში აქცენტირებული გეგმარი უფრო დეტალურად არის კონკრეტიზებული იმ მასალაში, რასაც ალენ დალესის დოქტრინა ეწოდა. ვნახოთ მაინც, რა წერია ამ დოქტრინაში? მოვიშველიებ რამდენიმე ფრაგმენტს:

ფრაგმენტი N 1

,,ჩვენ სექსუალურად გამოვიყენებთ თქვენს შვილებს, გავრყვნით მათ სკოლებში, საერთო საცხოვრებლებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კონოთეატრების ტუალეტებში, ჯარისკაცთა ყაზარმებში, სასტუმროებში, მამაკაცთა კლუბებში, პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც მამაკაცი შეიძლება მეორე მამაკაცს შეხვდეს.

ქალებო, იოცნებეთ თავისუფლებაზე, ჩვენ წაგართმევთ თქვენს მამაკაცებს, მივანიჭებთ მათ აქამდე არნახულ კმაყოფილებას, რადგან სინამდვილეში მხოლოდ მამაკაცმა იცის როგორ მოხიბლოს მეორე მამაკაცი. მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ჩაწვდნენ მამაკაცის გრძნობათა და განცდათა სიღრმეს, მის გონსა და მის სხეულს.”

თქვენს კანონებს, რომლებიც კრძალავენ ჰომოსექსუალიზმს, შევცვლით. ახალი კანონმდებლობა წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ჰომოსექსუალები ერთმანეთს მხარში დაუდგებიან.

ჩვენ ერთიანი ვიქნებით პოლიტიკურად, სოციალურად, ფინანსურად, ვიქნებით მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ ტრიუმფს, როდესაც ერთიან სახეს ვუჩვენებთ ჩვენს ბოროტ და დაუძინებელ მტრებს – ჰეტეროსექსუალებს (ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრებს). თუკი გაბედავთ და ჩვენ პედერასტებსა და ცისფერებს დაგვიძახებთ, ჩვენ გაგანადგურებთ და შეურაცხვყოფთ თქვენს მკვდარ, არარაობა სხეულებს.

ჩვენ დავწერთ ლექსებს მამაკაცების სიყვარულზე, დავდგამთ სპექტაკლებს, გადავიღებთ ფილმებს, სადაც მამაკაცები ღიად და თავისუფლად კოცნიან ერთმანეთს და ყოველივე ამით ჩავანაცვლებთ თქვენს იაფფასიან, ხელოვნურ, სენტიმენტალურ, ინფანტილურ, მოსაწყენ ჰეტეროსექსუალურ ვნებებს.

ჩვენ ყველგან ვართ, ჩვენ შემოვაღწიეთ თქვენს რიგებში. ფრთხილად იყავით, რადგან ყოველთვის თქვენთან ვართ და თქვენს შორის ვართ. შესაძლებელია, რომ ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ, ან თქვენთან ერთად ერთ საწოლში ვწევართ. კომპრომისი არ იქნება. ჩვენ უსახურ საშუალო კლასს კი არ წარმოვადგენთ, ბუნებით ინტელექტუალები და არისტოკრატები ვართ.

ცისფერი სისხლი დათმობაზე არასოდეს მიდის. ვინც ჩვენ წინააღმდეგ აღსდგება, დამარცხდება. ჩვენ ფეხზე დავაყენებთ უზარმაზარ კერძო არმიას, რათა გაგანადგუროთ თქვენ. ჩვენ დავიპყრობთ მსოფლიოს, ვინაიდან ჯარისკაცები, გაერთიანებულნი და გასხივოსნებულნი ჰომოსექსუალური სიყვარულითა და პატივისცემით, მოუხელთებელნი არიან ვითარცა ძველი ბერძენი მეომრები.

ოჯახი – როგორც სიცრუის, პირფერობის, ღალატისა და სისასტიკის ბუდე, მოიშლება. ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წამლავს წარმოსახვას და ფრთებს კვეთს თავისუფალ ნებას, დაინგრევა.

გენეტიკურ ლაბორატორიებში მოხდება ჩასახვა და აღმოცენება სრულყოფილი ბიჭუნებისა. ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ გვგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთი ყმაწვილი იქნება. ჩვენ მიჯაჭვულნი ვართ სილამაზისა და ესთეტიკის კულტთან. ყველაფერ მახინჯს, ვულგარულს და ბანალურს მოვსპობთ. ჩვენთვის უკიდურესობაც კი ძალიან ცოტაა…“

ფრაგმენტი N 2

1. ქვეყანაში ქაოსის დანერგვა, ანუ, ჭეშმარიტი ფასეულობების ყალბი ანალოგებით შეცვლა. ეროვნული ღირებულებების დაკნინება-შეცვლა და ხელოვნურად შეთითხნილი ყალბი ღირებულებების პატივისცემის იძულება.

2. ქვეყნის მმართველობაში შეუმჩნევლად ქაოსის და დაბნეულობის შექმნა (ჩვენივე დახმარებით დანიშნული თანამდებობის პირების დახმარებით), რათა ვერავინ გაარკვიოს, სადაა თავი და სად ბოლო.
3. პატიოსნება და წესრიგი დასაცინი და ზედმეტი უნდა გახდეს. უტიფრობა, თავხედობა, სიცრუე და ფლიდობა, ლოთობა და ნარკომანია, ხალხთა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდების ჩვეულებად გადაიქცეს.
4. მომრავლდება მკვლელობები, პროსტიტუცია. გადაშენების გზაზე დადგებიან ერები.
5. პერიოდულად გათამაშდება გრანდიოზული ტრაგედიები.
6. შეიქმნას სამუშაო ადგილების დეფიციტი, ე.ი. გაუქმდეს და განადგურდეს ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, ქვეყანაში დამკვიდრდეს ეგრეთწოდებული საბაზრო ეკონომიკა, რაც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ დაკნინებას, ხალხის მასების დამშევა-გამათხოვრებას.
7. ქვეყნის ხელისუფლება გაყიდის ყველაფერ ფასეულს, ქარხნებს, ფაბრიკებს, შენობებს, მიწის პრივატიზაციის საშუალებით. მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ დარჩება საცხოვრებელი მინიმუმი, რაც გამოიწვევს ერისა და ქვეყნის სრულ დამოკიდებულებას ჩვენს მმართველობაზე, ამგვარად ათვისებული ქვეყნის ტერიტორიას ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენივე მიზნების განსახორციელებლად“.

ფორესტოლის დოკუმენტისა და თუნდაც დალესის ფსევდო დოქტრინის გამოქვეყნებიდან სწორედ 3-4 ათეული წლის შემდეგ გავრცელდა ამერიკელი ცსს-ს სამმართველოს საიდუმლო განყოფილების აგენტის ჯონ პერკინსის წიგნი - ,,ეკონომიკური მკვლელის აღსარება.“ ეს წიგნი ამავე საკითხებს ეძღვნება, ოღონდ ეკონომიკური კუთხით, რისკენაც მოწოდებულია დალესის დოქტრინა.

ჯონ პერკინსი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო განყოფილებაში მსახურობდა და სწორედ ამ საკითხებზე მუშაობდა. პენსიაზე გასვლის შემდეგ მან დაწერა წიგნი სახელწოდებით ,,ეკონომიკური მკვლელის აღსარება.“ ეს არის ავტობიოგრაფიული წიგნი, სადაც აღწერილია ე.წ. გასაიდუმლოებული ჯგუფის - ,,ეკონომიკური მკვლელების“ ცხოვრება და საქმიანობა, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ამერიკისთვის ეკონომიკურად საინტერესო ქვეყნების უმაღლეს პოლიტიკურ ლიდერებთან ემუშავათ.

თავის დროზე, ევროპაში, ეს წიგნი ბესტსელერად იქცა. პერკინსის აზრით, მთელს მსოფლიოში, ამერიკის ინტერესების და გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნები, ისეთ მართვად ლიდერებს ირჩევენ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ აშშ-ის ,,დაკრულზე იცეკვებენ“ და საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს გააკეთებენ, საკუთარი ქვეყნის ინტერესებს შეწირავენ ამერიკის ინტერესების გატარებას, როგორც ეს ხდებოდა და ამჟამადაც ხდება საქართველოსა და უკრაინაში. ხოლო მათ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს და საკუთარ ხალხზე იზრუნებს, უბრალოდ, ფიზიკურად მოიშორებენ ან ხელოვნურად მოგონილი კომპრომატებით მიწასთან გაასწორებენ“ [11].

დასკვნა

როგორც იკვეთება, თანამედროვე გლობალური საინფორმაციო სივრცე გახდა ინტერნეტის წინა პერიოდის ცალკეული ინფორმაციული ნაკადების ერთგვარი შემკრები აუზი. ეს ნაკადები კი წყვეტილი მიწოდების ფორმატიდან გლობალური აუდიტორიის თვალწინ ინფორმაციის უწყვეტ მასივად გადაიქცა. ამან ინფორმაციული სივრცის სიმყარე ერთდროულად ჩამოანგრია. ინფორმაციულ ნაკადებს შორის არსებული ქრონომეტრაჟი პრაქტიკულად განულდა. ყველაფერი ეს კი იმ დროს ხდება, როცა ადამიანთა მასაზე სუბლიმინაციური ზემოქმედების მექანიზმის სიმძლავრე ლამის გაასმაგდა. ყოველივე ამან

დღის წესრიგში დააყენა ნებისმიერი ქვეყნის ინფორმაციული სისტემის დაცვის აუცილებლობა გარედან მომდინარე სახიფათო ინფორმაციისაგან. დადგენილია, რომ ნებისმიერი არასასურველი ინფორმაცია, რომელიც შედის ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ინდივიდის ინფორმაციულ სისტემაში აუცილებლად იწვევს თავად ამ სისტემის ცვლილებას. საბოლოო ჯამში ეს სრულიად შეუქცევად ცვლილებებს განაპირობებს, მეტიც, ნებისმიერ თვითმყოფად ერში თვითგანადურების ღილაკის უნებლიედ ჩართვასაც კი უზრუნველყოფს. თანაც ისე, რომ საღათას ძილს მიცემულ ერს გამოფხიზლებისას შესაძლოა თვალწინ საშინელი რეალობა გადაეშალოს.

ამდენად, სუბლიმინაციური, ანუ ფარული ზემოქმედების კონტენტით ხდება ნებისმიერი მოწინააღმდეგე, საინფორმაციო ომის სამიზნე ქვეყნის თუ ცალკეული ჯგუფების ან ინდივიდის სერიოზული დაზიანება. ამიტომ თავდაცვის მექანიზმების დაუფლება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ისე ცალკეული ინდივიდისთვის.

ლიტერატურა

1. https://cyberleninka.ru/article/n/psihotronnoe-oruzhie-vozdeystvie-skrytyh-komand-na-podsoznanie-cheloveka
2. Кара-Мурза С.Г. Манипуляция сознанием. - М.: Алгоритм, 2000. - 688 გვ.
3. https://science.fandom.com/ru/wiki/25-й_кадр
4. http://www.repiev.ru/articles/25frame.htm
5. Monahan, L.J., Murphy, T.S., Zajonc, R.B. Subliminal Mere Exposure: Specific, General, and Diffuse Effects. Psychological Science, VOL. 11, NO. 6, 2000
6. https://psyfactor.org/k25.htm
7. Есин С.В., Афанасьев В.Г., Федоренко А.В. и др. Исследование подсознательного определения маркеров зависимого поведения. // «Материалы научно-практической конференции, приуроченной к 20-летию клинического госпиталя МСЧ ГУВД по г.Москве", под ред. В.Я.Клыги, Москва, 2009, - გვ. 68-69.
8. https://www.mathnet.ru/php/archive.phtml?wshow=paper&jrnid=vspui&paperid=231&option_lang=rus
9. https://politicano.blog/category/ჯეიმს-ფორესტოლი/
10. https://www.sb.by/articles/sindrom-forrestola.htm
11. https://geworld.ge/ge/9571/

Informational suggestion, as a key component of information warfare

Gigla Gobechia, Maia Tungia

Abstract

In the digital age, information warfare has become the main tool for gaining influence. Its serious consequences for the object are the more destructive, the stronger the moment of suggestion. This applies equally to both states and individual organizations waging information warfare against each other. Gaining a strategic advantage depends on the correct planning and conduct of information warfare. Even an information warfare started in the distant past, chosen with the right strategy and subsequently waged with the same tactics, ultimately achieves its goal precisely due to a large dose of suggestive moments.

This work is a kind of first attempt to present and understand information warfare from a different point of view.

Keywords: Information warfare, informational suggestion, manipulation, NLP, 25th frame.